საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1035/01
04/02/2022

1035-01-2-202202041355

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #76ბ

სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუხრანსა და სოფ. პატარა ქანდაში საკანალიზაციო სისტემის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ცხრილი (თავი 24. ინფორმაცია გზშ ანგარიშში განხილული სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესახებ) სრულად არ მოიცავს და არ შეესაბამება სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებულ თითოეულ საკითხს, <u>**გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული თითოეული საკითხის შესაბამისად (ერთიანი ცხრილის სახით);**</u>
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „რელიეფის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საჭირო გახდა წყალარინების 3 სატუმბი სადგურის მოწყობა (გამწმენდი ნაგებობების შემადგენლობაში შემავალი სატუმბო სადგურის გარდა)“, თუმცა გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული სატუმბი სადგურების შესახებ დეტალური ინფორმაცია, კერძოდ: მდებარეობა, განთავსების ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია, დაშორება უახლოეს საცხოვრებელ სახლთან, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია და ა.შ;
- გზშ-ის ანგარიშში (გვ. 236) საუბარია ბახმაროს საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების ნორმირებულ გაწმენდაზე, ასევე (გვ. 266) ბახმაროს საკანალიზაციო სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე, რაც საჭიროებს კორექტირებას;

- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სოფ. მუხრანის და სოფ. პატარა ქანდას მოსახლეობის ზრდის დინამიკის მაჩვენებლები, ასევე წყალმოთხოვნილების ზრდის დინამიკა და შესაბამისად ჩამდინარე წყლების რაოდენობის დინამიკა;
- არ არის განხილული წარმოქმნილი ლამის მართვის საკითხების აღწერა (მათ შორის ტრანსპორტირება, გაუწყლოვნება) და ჭარბი ლამის განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატები;
- მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული კომუნიკაციების გადაკვეთის წერტილების შესახებ (ტექნიკური გადაწყვეტით და კოორდინატების მითითებით);
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობის შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იყოს გამწმენდის მოწყობის ტერიტორიის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშში გვ. 17-ზე და თავი **4.3-ში** მოცემული ინფორმაციის შესაბამისად სოფ. მუხრანისა და პატარა ქანდას ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება მდ. ქსანში. ხოლო ამავე დოკუმენტის თავი **4.5-ში** და ასევე გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ ზდჩ-ის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ გამავალ ბუნებრივ ღელეში, რომელიც უერთდება მდინარე ქსანს. შესაბამისად ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ექსპლუატაციის ეტაპის მონიტორინგის გეგმაში მოცემული ჩამდინარე წყალში დამაბინძურებელი ნივთიერებების ლაბორატორიული კვლევის ჩატარების სიხშირე არ შეესაბამება გზშ-ის დოკუმენტზე თანდართულ ზდჩ-ის ნორმების პროექტში მოცემულ შესაბამის დამაბინძურებლებზე კვლევის ჩატარების სიხშირეს. შესაბამისად საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში უახლოესი საცხოვრებელი სახლი, უშალოდ გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილიდან დაშორებულია დაახლოებით 180 მეტრით (ს/კ: 72.10.03.055), ხოლო ზდჩ-ის ნორმების პროექტში კი მოცემულია, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი, უშალოდ გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილიდან დაცილებულია დაახლოებით 230 მეტრით;
- ზდჩ-ის ნორმების პროექტში არ არის წარმოდგენილი მიმღები წყლის ობიექტის, უსახელო ღელეს ჰიდროლოგიური და ხარისხობრივი დახასიათება, ასევე ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების გაანგარიშებაში გამოყენებულია მდ. ქსნის ჰიდროლოგიური და ხარისხობრივი მონაცემები;
- ზდჩ-ის დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი მიმღები წყლის ობიექტში არსებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ფონური კონცენტრაციის ლაბორატორიული კვლევის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე